

**ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის
შიდა ინსტრუქცია**

**მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების თაობაზე ინფორმაციის მიღების,
აღრიცხვისა, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის
გადაცემის ორგანიზებისა და კონტროლის განხორციელების შესახებ**

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის (შემდგომში – „კანონი“), საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2004 წლის 30 იანვრის №39 ბრძანებით დამტკიცებული “ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის” (შემდგომში – „წესი“) და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ინსტრუქცია არეგულირებს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების თაობაზე ინფორმაციის მიღების, აღრიცხვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესს, აგრეთვე ინსტრუქციის შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელების წესებს.

მუხლი 2.

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ყველა მუშაკი ვალდებულია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს (შემდგომში – „პასუხისმგებელ პირს“) დაუყოვნებლივ გადასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია იმ გარიგების ან დანაწევრების მიზნით განხორციელებულ გარიგებათა ერთობლიობის შესახებ, რომლებიც „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განეკუთვნება მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების კატეგორიას.

2. მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ანდა მისი დანაწევრების მიზნით განხორციელებულ გარიგებათა ერთობლიობა. თუ ამ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის ფასი აღემატება 20 000 ლარს ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში და 40 000 ლარს უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში და, ამავდროულად, გარიგება საეჭვოა და წარმოადგენს შემდეგ რომელიმე გარიგებას:

ა) გარიგებები, შესრულებული წარმოდგენზე ფასიანი ქაღალდებით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა;

ბ) გარიგებები, შესრულებული ფასიანი ქაღალდებით, არაკოპირირებად (არამოთანამშრომლედ) ზონაში მყოფი ან რეგისტრირებული პირის ანდა ასეთ ზონაში რეგისტრირებულ ბანკში საბანკო ანგარიშის მფლობელის მიერ.

3. 2004 წლის 1 სექტემბრიდან მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცვლება კანონის მე-5 მუხლის 1 პუნქტის გათვალისწინებით.

4. მონიტორინგს ექვემდებარება აგრეთვე კანონის მე-2 მუხლის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული გარიგების დადების ან შესრულების მცდელობა და სხვა ფაქტი (გარემოება), რომელიც საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წერილობითი მითითებების შესაბამისად, შეიძლება უკავშირდებოდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ან ტერორიზმის დაფინანსებას. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან საეჭვო გარიგებებისა და დანაწევრებული გარიგებების გამოვლენის მიზნით შექმნან მონაცემთა ელექტრონული ბაზა (სისტემა), ხოლო 2006 წლის 16 მარტამდე უზრუნველყონ დანაწევრებული გარიგებების გამოვლენის მიზნით პროგრამული უზრუნველყოფის ამოქმედება.

5. მონიტორინგს ექვემდებარება აგრეთვე გარიგება, თუ არსებობს ვარაუდი, რომ რომელიმე მისი მონაწილე პირი დაკავშირებულია ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირებთან. ტერორისტი და ტერორიზმის ხელშემწყობი პირების სია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებს ეგზავნებათ (ან გამოქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ).

6. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გარიგების საეჭვოდ მიჩნევის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) ფასიანი ქაღალდების ჩუქება ხდება პირზე, რომელიც არ წარმოადგენს პირველი რიგის ნათესავს (პირველი რიგის ნათესავებს მიეკუთვნებიან: მეუღლე, შვილი, შვილიშვილი, მშობელი, ბებია-ბაბუა, და, ძმა);

ბ) გარიგების მონაწილე პირს წესდებით აკრძალული აქვს ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები;

გ) თუ საბროკერო კომპანიის მიერ არ/ვერ იქნა წარდგენილი რეგისტრატორისათვის გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაციისათვის განსაზღვრული მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) თუ აშკარაა, რომ გარიგება დაიდო საეჭვო გარიგების დანაწევრების და აქედან გამომდინარე, კანონის მოთხოვნების თავიდან აცილების მიზნით.

7. პასუხისმგებელ პირს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების (ოპერაციის) შესახებ უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია (დოკუმენტები):

ა) ფასიანი ქაღალდებით გარიგების საგანი (ემიტენტის სრული დასახელება, ფასიანი ქაღალდების კლასი, რაოდენობა) და სახე, თანახმად ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა;

ბ) ფასიანი ქაღალდების რეესტრში ასახვის თარიღი და ადგილი;

გ) გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაციისათვის საბროკერო კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტები), მათ შორის იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები), რომლის დავალებითაც იდება ან სრულდება გარიგება და იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები), რომელიც დავალების საფუძველზე დებს ან ასრულებს გარიგებას;

დ) გარიგების მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება (სახელი), მისამართი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი (გარიგების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაციის შემთხვევაში).

8. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია საბროკერო კომპანიას მოსთხოვოს საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგების მონაწილე პირ(ებ)ის იდენტიფიკაციისათვის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი, ასევე „საბროკერო კომპანიის მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესით“ განსაზღვრული დოკუმენტების მისთვის წარმოდგენა. ამ დოკუმენტების ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გაცნობა უნდა დადასტურდეს

წერილობით, რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით და გაცნობის თარიღის მითითებით. აღნიშნული მოთხოვნის შესრულებამდე რეგისტრატორს არ აქვს უფლება შეასრულოს რაიმე ოპერაცია წინამდებარე ინსტრუქციის მე-2 მუხლით განსაზღვრული შინაარსის გარიგებებთან დაკავშირებით, ან გაუწიოს პირს რაიმე სახის მომსახურება.

9. პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემთა ნუსხა და დოკუმენტები განსაზღვრულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 30 იანვრის №39 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესით“.

მუხლი 3.

1. პასუხისმგებელ პირთან თავს იყრის ინფორმაცია ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ყველა გარიგების (ოპერაციის) შესახებ.

2. პასუხისმგებელი პირი ანალიზებს მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციას; „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად აღრიცხავს საბროკერო კომპანიის მიერ მისთვის წარდგენილ ინფორმაციას (დოკუმენტებს), მათ შორის პირ(ებ)ის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, გარიგების საგანსა და სახეს და ა.შ.; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორში არსებული ჩანაწერებისა და შესაბამისი კომპიუტერული სისტემის დახმარებით პასუხისმგებელი პირი იკვლევს არის თუ არა გარიგება (ოპერაცია) დანაწევრების მიზნით დადებული (შესრულებული) და ა.შ.

3. გარიგების, მასში მონაწილე პირების შესახებ მოძიებული ინფორმაცია წარედგინება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორს, რომელიც უშუალო პასუხისმგებელ პირთან ერთად განალიზებს არსებულ ინფორმაციას, რათა დაადგინოს არის თუ არა გარიგება საეჭვო „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის“ შესაბამისად.

4. პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ნებისმიერი მუშაკისგან ოფიციალურად გამოითხოვოს ინფორმაცია. ეს უკანასკნელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს პასუხისმგებელ პირს მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტების ასლები.

მუხლი 4.

1. გარიგების საეჭვოობის შესახებ ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში პასუხისმგებელ პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეავსოს ანგარიშგების ფორმა და უზრუნველყოს მისი და თანდართული მასალების გადაგზავნა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესით“ დადგენილი ფორმით, პროცედურისა და ვადის დაცვით.

2. შევსებული ანგარიშგების ფორმას ხელს აწერს პასუხისმგებელ პირი და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორი.

3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის ცნობის წერილობით მიწოდება გულისხმობს საეჭვო გარიგებებზე ანგარიშგების სპეციალური ფორმის შევსებასა და გაგზავნას. ანგარიშგება წარდგენილ უნდა იქნეს გარიგების დადების ან შესრულების დღიდან

(ასევე გარიგების დადების ან შესრულების შემდეგ დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში – ამგვარი ვარაუდის გაჩენიდან) 3 სამუშაო დღის განმავლობაში. ანგარიშგება წარდგენილი უნდა იქნეს ასევე ელექტრონული ფორმით. ანგარიშგების ელექტრონული ფოსტით მიწოდება გულისხმობს შევსებული ანგარიშგების ფორმის კომპიუტერული ფაილის სახით სამსახურის შესაბამისი ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან ფლოპი დისკის მეშვეობით გაგზავნას, გარიგების დადების ან შესრულების დღიდან ან/და დასაბუთებული ვარაუდის გაჩენიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში (ანუ თუ 3 დღის ვადაში ვერ ჩატარდება სრულყოფილი ანალიზი), სამსახური/პასუხისმგებელი პირ(ებ)ი უფლებამოსილია გააგრძელოს ინფორმაციის მოძიება-ანალიზი და დამატებითი ინფორმაცია წარუდგინოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადასაგზავნად. აღნიშნული ინფორმაციის გადაგზავნა ასევე უნდა მოხდეს კანონითა და წესით დადგენილი ფორმით, პროცედურისა და ვადების დაცვით.

4. თუ ანგარიშგების წერილობით წარდგენა დადგენილ ვადაში ვერ ხერხდება ობიექტური მიზეზებით, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია ანგარიშგება მოახდინოს კომუნიკაციის არსებული საშუალებით (ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით), ამასთან, ანგარიშგების ნაბეჭდი ფორმა (ხელმოწერილი ეგზემპლარი) შეინახოს არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 5.

1. პასუხისმგებელი პირი კოორდინაციას უწევს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტების დანერგვასა და შესრულებას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან.

2. პასუხისმგებელი პირი ამზადებს და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მმართველი ორგანოს წევრებს წარუდგენს წინადადებებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის ღონისძიებების გატარების შესახებ.

3. პასუხისმგებელი პირი კოორდინაციას უწევს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და დროულად გადაგზავნის პროცესს.

4. პასუხისმგებელი პირი პერიოდულად აწვდის ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორს თავისი საქმიანობის შესახებ, ხოლო წელიწადში ერთხელ ანგარიში წარუდგენს მმართველ ორგანოს.

5. პასუხისმგებელი პირი ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან შესაბამის მონაცემთა აღრიცხვისა და სათანადო საძიებო სისტემის შემუშავებასა და წარმოებას, აგრეთვე ხელს უწყობს სხვა პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას.

მუხლი 6.

1. პასუხისმგებელი პირი იცავს მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობას. კონფიდენციალურია აგრეთვე ინფორმაცია ამა თუ იმ გარიგების საეჭვოდ მიჩნევის და ინფორმაციის ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის შესახებ. მათ ასეთი ინფორმაცია არ უნდა გაუმჟღავნონ არცერთ პირს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორის გარდა.

2. კონფიდენციალობის დარღვევისთვის პასუხისმგებელი პირი პასუხს აგებს დისციპლინური წესით, ასევე მას დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა წარმოშობილი ზიანისთვის.

მუხლი 7.

1. ამ ინსტრუქციის შესრულებაზე და პასუხისმგებელი პირის მუშაობაზე კონტროლს ახორციელებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორი. იგი განიხილავს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტებისა და მითითებების შესრულების მდგომარეობას.

2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორი პერიოდულად განიხილავს პასუხისმგებელი პირის ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და შეიმუშავებს წინადადებებს სამსახურის მუშაობის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მექანიზმის გაუმჯობესების შესახებ.

3. მხოლოდ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორს და მმართველ ორგანოს აქვს უფლება გაეცნოს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას, მათ შორის კონკრეტულ გარიგებას და მასში მონაწილე პირების შესახებ არსებულ მთელ ინფორმაციას, შედგენილ ანგარიშგების ფორმებს, ამასთან, მათ არა აქვთ უფლება ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის გამჟღავნებისა.

4. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორი ამოწმებს, თუ რამდენად მაღალკვალიფიციურად და კეთილსინდისიერად ასრულებს პასუხისმგებელი პირი დაკისრებულ მოვალეობებს, ხომ არ აქვს ადგილი ინფორმაციის გაჟონვის ფაქტებს და ა.შ.

მუხლი 8.

1. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორი მმართველი ორგანოს წინაშე დააყენებს პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის საკითხს.

2. პასუხისმგებელი პირის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებების გატარებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მმართველ ორგანოს, გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე.

3. კანონისა და წესის მოთხოვნების დარღვევისათვის ”კავკასრეესტრის” მიმართ გამოყენებული იქნება სანქციები საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ, 2004 წლის 10 თებერვლის №38 დადგენილებით დამტკიცებული ”უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის დარღვევისათვის სანქციების განსაზღვრის წესი“-ს შესაბამისად.

მუხლი 9.

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დირექტორის მიერ წლიურ ანგარიშში ასახულ უნდა იქნეს რეგისტრატორის მიერ გაწეული კანონით, წესებითა და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული საქმიანობა და ამ საქმიანობის მმართველი ორგანოს წევრების მიერ შეფასება.